ახალი თბილისი
სამშენებლო კომპანია

შპს ახალი თბილისი
მისამართი: საქართველო;
თბილისი 0167
ქერჩის №6

№ 07/19 28 10 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ახალი თბილისი“ (ს/კ 404501142) გეგმავს ქ.თბილისში გლდანის რაიონში 110 კვ საჰაერო ხაზის "ავშნიანი 1-2"-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა) მოწყობას და ექსპლუატაციას.

აღნიშნულ პროექტს შპს „ახალი თბილისი“ ახორციელებს ს.ს. "თელასი"-ს №1102/074 02.11.2017წ. ტექნიკური პირობების საფუძველზე.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის თანახმად "35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ახალი თბილისი“ გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროს წარუდგინა სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

№ 19537
30 12 2019
2/06

30.12.2019.

ტელ: +995 322 10 30 00
E-mail: info@akhalitbilisi.ge

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის №2-333 ბრძანებით გამოცემული იქნა 2019 წლის 28 თებერვლის №29 სკოპინგის დასკვნა.

“ ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის №2-333 ბრძანების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს და 2019 წლის 28 თებერვლის №29 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია);

2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია);

3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების რეესტრიდან;

5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

ინგა ვადაჭკორია

შპს „ახალი თბილისი“-ის ფინანსური დირექტორი

ტელ: +995 322 10 30 00

E-mail: info@akhalitbilisi.ge